552-შ-3-202402011218

N 552-შ 01.02.2024

შეტყობინება ტენდერის შედეგის შესახებ

სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

პროექტის დასახელება: ინოვაციები, ინკლუზიური განათლება და ხარისხი - საქართველო (I2Q)
განმახორციელებელი სააგენტო: სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი, საქართველო
სატენდერო წინადადებების წარმოდგენის მოთხოვნის ნომერი (RFB) No: # IBRD/I2Q/DB/NCB/15-2023
სატენდერო დოკუმენტის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოები: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ღოუბანის საჯარო სკოლის, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ არაფლოს საჯარო სკოლის (ახლომახმუდლოს დაწყებითი სკოლა), დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოს საჯარო სკოლის და წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ საბეჭისის საჯარო სკოლის დეტალური პროექტის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები
შერჩევის გამოყენების მეთოდი: **ეროვნული საბაზრო მიდგომა**
სამუშაოების ხანგრძლივობა: **28 (ოცდარვა) თვე**
შეფასების ვალუტა: **ლარი**

ტენდერში მონაწილე კომპანიები:

1. სს "ჰორასან თააჰჰუთ ვე ინშაათ";
2. ე/ს "შპს ზ და დ გლობალ ბილდინგ კომპანი" და შპს "გლობალ სტროი ინჟინერინგი"";
3. შპს უეიტლეაფ ჰოლდინგს ლმიტედ;
4. შპს „გასპარიანი შინ".

დისკვალიფიცირებული კომპანიები:

1. **დასახელება:** ე/ს "შპს ზ და დ გლობალ ბილდინგ კომპანი" და შპს "გლობალ სტროი ინჟინერინგი""
მისამართი: საქართველო, ქ. ბოლნისი, ქ.ჩოლოყაშვილის ქ., №2
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 16,453,490.00 ლარი
<u>დისკვალიფიკაციის მიზეზი:</u> სატენდერო დოკუმენტის I თავის, მე-4 პარაგრაფის „უფლებამოსილი პრეტენტენდები", ქვე-პარაგრაფის 4.7 შესაბამისად, პრეტენდენტს ჩამოერთვა ტენდერში მონაწილეობის უფლება. შესაბამისად, შპს „გლობალ სტროი ინჟინერინგ" არაუფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა დამკვეთის ნებისმიერი კონტრაქტისათვის გამოცხადებულ ტენდერში.

2. **დასახელება:** შპს უეიტლეაფ ჰოლდინგს ლმიტედ;
მისამართი: სომხეთის რესპუბლიკა; ერევანი, გრიბოიედოვის ქ. 48/13
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 15,500,000.00 ლარი
<u>დისკვალიფიკაციის მიზეზი:</u> პრეტენდენტმა არ წარმოადგინა სატენდერო დოკუმენტაციის ძირითადი ნაწილი, როგორიცაა: კალენდარული გრაფიკი - ცალ-ცალკე სკოლების მიხედვით; პროექტირების და სამუშაოების პროგრამა და მეთოდოლოგია დეტალური სამუშაო გეგმის და საპროექტო ტერიტორიაზე სკოლის შენობის წინასწარი კონცეპტუალური განლაგების გათვალისწინებით - ოთხივე სკოლისათვის; კონტრაქტორის პერსონალის

(გარემოსდაცვითი და სოციალური) ქცევის კოდექსი; ფორმა ELI 1.1; ფორმა CON 2; ფორმა CON 3; ფორმა FIN 1.1; 1.2; 1.3; ფორმა CCC; ფორმა EXP 4.1; 4.2; (ა); 4.2 (გ); ფორმა PER 1 და PER 2 დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

3. **დასახელება:** შპს „გასპარიანი შინ“
მისამართი: სომხეთის რესპუბლიკა, არტიკი. ღარიბჯანიანი ქ. 39
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 14,750,000.00 ლარი
<u>დისკვალიფიკაციის მიზეზი:</u> პრეტედენტმა არ წარმოადგინა დაზუსტების წერილით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

4. **დასახელება:** სს “ჰორასან თააჰჰუთ ვე ინშაათ”
მისამართი: ჩიღდემის უბანი 1593. ქუჩა, ოდთუ სითესი N:17, ჩანქაია, ანკარა
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 16,677,889.90 ლარი;
შეფასებული ფასი: 16,677,889.90 ლარი;
<u>დისკვალიფიკაციის მიზეზი:</u> სატენდერო დოკუმენტის დანართის - ,,აქტივობების ფასთა უწყისის“ მიხედვით: ,,დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით) არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ღირებულების 3%-ს. ზემოაღნიშნული პირობის შეუსრულებლობა გამოიწვევს პრეტენდენტის შესყიდვის პროცედურის დისკვალიფიკაციას“. ვინაიდან, ტენდერში მონაწილე კომპანიის მიერ წარმოდგენილი დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით) ყველა სკოლისთვის აღემატება მთლიანი ღირებულების 3%-ს, ტენდერში მონაწილე კომპანიამ მიიღო დისკვალიფიკაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია